

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/62

თბილისი

“ 18 “ სექტემბერი 2018 წ.

*მოწვეული სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების
შესახებ:*

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, გთუნი-ს წესდების მე-5 მუხლის, „აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მოწვეული სპეციალისტისა და მასწავლებლის არჩევის წესის“ მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გთუნი-ს სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის სერგო ჭელიძისა და საჯარო სამართლის, კერძო სამართლის კათედრის გამგეების წარდგინების, კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის ლევან დოლონაძისა და კერძო სამართლის კათედრის გამგის წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიმდინარე წლის 18 სექტემბრიდან შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის კერძო და საჯარო სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მიმართულებით გამოცხადდეს კონკურსი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად 2018 - 2019 სასწ/წელზე.
2. მოწვეული სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდეს შემდეგ თანამდებობებზე:

**საჯარო სამართლის კათედრა
სამართლის საბაკალავრო პროგრამა**

მიმართულება	-	სამართალი
დარგი/სპეციალობა	-	საერთაშორისო სამართალი
ქვედარგი/სპეციალიზაცია- ვაკანტური ადგილი	-	საერთაშორისო საჯარო სამართალი 1 სამტატო ერთეული

მიმართულება	-	სამართალი
დარგი/სპეციალობა	-	საჯარო სამართალი
ქვედარგი/სპეციალიზაცია- ვაკანტური ადგილი	-	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი 1 სამტატო ერთეული

მიმართულება	-	სამართალი
დარგი/სპეციალობა	-	საჯარო სამართალი
ქვედარგი/სპეციალიზაცია-	-	სამოხელეო სამართალი
ვაკანტური ადგილი	-	1 სამტატო ერთეული
მიმართულება	-	სამართალი
დარგი/სპეციალობა	-	საჯარო სამართალი
ქვედარგი/სპეციალიზაცია-	-	იურიდიული ეთიკის საფუძვლები
ვაკანტური ადგილი	-	1 სამტატო ერთეული

კერძო სამართლის კათედრა
სამართლის საბაკალავრო პროგრამა

მიმართულება	-	სამართალი
დარგი/სპეციალობა	-	კერძო/ბიზნეს სამართალი
ქვედარგი/სპეციალიზაცია-	-	სახელშეკრულებო სამართალი
ვაკანტური ადგილი	-	1 სამტატო ერთეული

კერძო სამართლის კათედრა
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

მიმართულება	-	სამართალი
დარგი/სპეციალობა	-	კერძო სამართალი
ქვედარგი/სპეციალიზაცია-	-	შედარებითი სანივთო სამართალი
ვაკანტური ადგილი	-	1 სამტატო ერთეული

3. კონკურსანტების საბუთების მიღება იწარმოოს მ/წლის 19 სექტემბრიდან 24 სექტემბრის ჩათვლით. (ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან – 16 საათამდე)
4. კონკურსი ჩატარდება მ/წლის 25 სექტემბერს.
5. კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო კომისიაში (26, 27 სექტემბერი)
6. კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს მ/წლის 28 სექტემბერს.
7. ყველა კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:
 - განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
 - კონკურსანტის ანკეტა (CV)
 - საქართველოს მოქალაქეობის პირადობის მოწმობის ასლი;
 - ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4)

- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (არსებობის შემთხვევაში)
- ცნობა სამსახურიდან შრომის სტაჟის შესახებ ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (არსებობის შემთხვევაში)
- გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია (არსებობის შემთხვევაში)
- სილაბუსები

8. ყველა კონკურსანტმა სასურველია წარმოადგინოს:

- უცხო ენების ფლობის დამადასტურებელი ცნობა
- სხვა სერთიფიკატები

დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას.

რექტორი

გიორგი მათიაშვილი